ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N4

ქ.თბილისი 24 ნოემბერი, 2017 წელი
14⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
რამინა ბერაძე	გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე	თემურ გორგაძე
ლევან დავითაშვილი	ოთარ გრიგოლია
მარინა დათუკიშვილი	ბექა დავითულიანი
გიორგი დოხტურიშვილი	ლევან დარახველიძე
ირაკლი ზარქუა	ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
ფრიდონ ინჯია	თევდორე ისაკაძე
ერეკლე კუხიანიძე	ანა ლაშხი
ნინო ლაცაბიძე	ლილე ლიპარტელიანი
ქეთევან მამულაშვილი	გიორგი მუსხელიშვილი
ირაკლი ნადირაძე	თინათინ ნიბლოშვილი
შალვა ოგბაიძე	ელენე ოზაშვილი
ლევან ჟორჟოლიანი	დათო ჟღენტი
დათო რურუა	რევაზ სოხაძე
თამარ ტალიაშვილი	თარაშ შურღაია
ვახტანგ შაქარიშვილი	ავთანდილ ცინცაძე
გიორგი ჩაკვეტაძე	დავით ჭელიძე
ვლადიმერ ძნელაძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ხაბეიშვილი	ჯაბა ჯიშკარიანი
ლევან ჯაფარიძე	ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მალხაზ ჭამპურიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა დათო ჟღენტმა სამძიმარი გამოუცხადა ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მომხდარი სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი სპეცრაზმელის ოჯახს, ხოლო სპეცოპერაციაში მონაწილე პირებს მადლობა გადაუხადა და დაინტერესდა თუ რა ინფორმაციას ფლობს საკრებულო არსებულ მდგომარეობაზე. კერძოდ, არსებობს თუ არა დასკვნა კორპუსის მდგრადობასთან დაკავშირებით, რამდენად უსაფრთხოა გვერდზე სადარბაზოებში ადამიანების გადაადგილება და რა იგეგმება იმ ადამიანების დასახმარებლად, რომლებსაც დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლები, ავტომობილები და საყოფაცხოვრებო ნივთები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლევან ხაბეიშვილმაც გამოუცხადა სამძიმარი ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მომხდარი სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი სპეცრაზმელის ოჯახს და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, ძალიან მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად მოკლე, დროში მოხდეს კორპუსის მდგრადობის შესწავლა - ხომ არ არის სიცოცხლისთვის საშიში გვერდზე სადარბაზოებში ადამიანების ცხოვრება და გადაადგილება; რაც შეიძლება მალე მოხდეს ხარჯების დათვლა და 2018 წლის ბიუჯეტში ამ ადამიანების დასახმარებლად საჭირო თანხის გათვალისწინება, რათა დახმარება მოხდეს სწრაფად და ეფექტურად, რომ მათ არ შეექმნათ ბიუროკრატიული პრობლემები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ნინო ლაცაბიძემ სამძიმარი გამოუცხადა ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მომხდარი სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი სპეცრაზმელის ოჯახს და ახლობლებს. მან აღნიშნა, რომ როგორც ამ რაიონის მაჟორიტარი წევრი, გამგეობასთან ერთად, პირველივე დღიდან ჩართულია მიმდინარე პროცესში და ისაუბრა დღეს არსებულ მდგომარეობაზე. განმარტა, რომ დაახლოებით 15-16 დაზარალებული ოჯახი, გადაყვანილია სასტუმროებში, სადაც მათ აქვთ ყველა საჭირო პირობა და მათთან მუდმივ კონტაქტზეა გამგეობა; დღეს, პირადი ნივთების გამოტანის მიზნით, ეტაპობრივად მოხდა ადამიანების შეშვება იმ სახლებში, რომლებიც არ არის დაზიანებული; სპეციალური სამსახურები მუშაობენ შესახლების საკითხთან დაკავშირებით და ველოდებით მათ დასკვნებს, რის შემდეგაც დავიწყებთ კონკრეტულ ქმედებებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მომხდარი სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი სპეცრაზმელის ოჯახს გამოუცხადა სამძიმარი, ღრმა მწუხარება გამოთქვა მომხდარის გამო და მიმართა საკრებულოს წევრებს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ მისი ხსოვნისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

თანამომხსენებელი: ირაკლი ზარქუა

2. „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული

ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყენარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მალხაზ ჭამპურიძე

თანამომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ „JEC Fund“-ისგან გრანტის მიღების საკითხზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი

თანამომხსენებელი: იოსებ ქარცივაძე

4. „ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩა N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

მომხრე - 43

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის, შენიშვნებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის დაბრუნების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ და აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, საკრებულოს ფრაქციების და კომისიების მსგავსად, შენიშვნები აქვს ქ.თბილისის მთავრობასაც და იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივად იმუშავებენ ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ჩამოყალიბებაზე. მან ისაუბრა წარმოდგენილი პროექტის ძირითად მაჩვენებლებზე და განაცხადა, რომ თბილისის მთავრობა გეგმავს საკრებულოს წარუდგინოს ბიუჯეტის განახლებული ვარიანტი, რომელიც არსებითად განსხვავებული იქნება წარმოდგენილი პროექტისგან და რომელშიც გათვალისწინებული იქნება ის პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც გაჟღერდა წინასაარჩევნოდ და რომლებსაც მოსახალეობამ დაუჭირა მხარი. ესენია: სატრანსპორტო და საგზაო პროექტების განხორციელება, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ისტორიული არეალების რეაბილიტაცია, ჯანდაცვის და სოცუზრუნველყოფის პროექტები. აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროსთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები ცენტრალური ბიუჯეტიდან დამატებითი თანხის გამოყოფაზე, იმედი გამოთქვა, რომ მოლაპარაკებები დასრულდება დადებითად და შედეგიანად და დამატებით მოზიდული თანხები მაქსიმალურად მიმართული იქნება ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელებისკენ. ირაკლი ხმალაძემ მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ მზად არის მათთან ერთად იმსჯელოს ამ საკითხებზე, რათა შემუშავდეს ისეთი ბიუჯეტი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ 2018 წელი იყოს მეტად ეფექტური, ვიდრე გასული წლები. მან აქვე აღნიშნა, რომ საარჩევნო პროგრამა გათვლილია ოთხ წელიწადზე და შესაბამისად,

დაპირებების შესასრულებლად საჭირო ფინანსები, გონივრულად და მიზანშეწონილობის ფარგლებში, უნდა გადანაწილდეს ამ წლებზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ელენე ოზაშვილმა სამმიმარი გამოუცხადა ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მომხდარი სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი სპეცრაზმელის ოჯახს და ახლობლებს, ხოლო სპეცოპერაციის დროს დაჭრილებს გამოჯანმრთელება უსურვა. მან აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, ფრაქციამ წარადგინა შენიშვნები და რეკომენდაციები, მათ შორის, ერთ-ერთი შეთავაზებაა ტრანსპორტის მოდერნიზაცია, რაც მნიშვნელოვანია ქალაქის საცობებისგან განტვირთვის და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. მისი თქმით, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ახალი ავტობუსების შემოყვანა და დაიწყოს მოლაპარაკებები ტრამვაის პროექტის შესყიდვაზე და დაინტერესდა, აპირებს და შეძლებს თუ არა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ამ ორი პროექტის განხორციელებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, ფრაქციამ საკმაოდ ვრცელი წერილი გაუგზავნა ქალაქის მერს და ისაუბრა იმ ინიციატივებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე, რომლებზეც საუბარია წერილში. იმის გათვალისწინებით, რომ ოქტომბრის მდგომარეობით, წლიური ინფლაცია 6.5%-ია, ხოლო ფიქსირებული ეკონომიკური ზრდა 4%-ია და ქალაქში არსებული მწვავე პრობლემების გათვალისწინებით, რომლებიც უფრო და უფრო მატულობს, ფრაქციას მაჩნია, რომ პირველ რიგში თბილისის ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს არანაკლებ ასი მილიონი ლარით და ზრდა უნდა მოხდეს გათანაბრებითი და კაპიტალური ტრანსფერების ზრდით და კარგია, რომ ამ კუთხით მიმდინარეობს მოლაპარაკებები; ირაკლი ნადირაძის თქმით, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შემოსავლების ნაწილში, სპეციალური ზონალური შეთანხმების მუხლში შემოსულობა არის 11 მილიონი ლარი მაშინ, როდესაც 2012 წელს იყო - 1.5, ხოლო 2013 წელს - 2 მილიონი ლარი და ეს ხდება მაშინ, როდესაც „ქართულმა ოცნებამ", დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცებამდე, ამ მიმართულებით გამოაცხადა მორატორიუმი, რაც იმას ნიშნავს, რომ აღარ უნდა მომხდარიყო კოეფიციენტების ზრდა და შესაბამისად, ამ მუხლში შემოსავალი ან აღარ უნდა ყოფილიყო, ან მკეთრად შემცირებულიყო. დღეს არსებული მდგომარეობით კი არის პირიქით - ამ მიმართულებით შემოსავლები გაზრდილია მინიმუმ 5-ჯერ და დაინტერესდა რატომ. ასევე, ბიუჯეტის ერთ-ერთი შემოსავალი აქვს კომპანიისგან „ct-park", რომლის შესახებაც კახა კალაძემ განაცხადა, რომ აპირებს მის გაყვანას და დაინტერესდა, თუ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს ამ კომპანიის გაყვანას, რატომ არის ბიუჯეტში გათვალისწინებული პარკირების მოსაკრებელი იგივე თანხის ოდენობით, რაც იყო წინა წლებში. მისი თქმით, თუ გავითვალისწინებთ „ქართული ოცნების" წარმომადგენლების განცხადებებს, რომ 2012-2013 წლებში გაბერილი იყო ბიუროკრატიული ხარჯი, დღეს არსებული ბიუროკრატიული ხარჯი უნდა დაიზოგოს მინიმუმ 10%-ით. ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ფრაქციას სურს აქტიურად ჩაერთოს კახა კალაძის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის განხილვებში და ჩამოთვალა ის ხუთი ძირითადი პროექტი, რომლის გათვალისწინებაც სურთ: პენსიონერებს მიეცეთ 200 ლარიანი დახმარება მედიკამენტებისთვის; 150 ლარიანი კომუნალური ვაუჩერი იმ ოჯახებისთვის, რომელთა შემოსავალი 40000 ლარზე ნაკლებია; პროდუქტებზე ფასების ზრდიდან გამომდინარე, უფასო სასადილოების დაფინანსება გაიზარდოს 3-ჯერ; უფასო მგზავრობა სტუდენტებისთვის; ინფრასტრუქტურული გამწვანების მიმართულების პრიორიტეტების ზრდა 50 მილიონი ლარით. ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ამ პროექტების განხორციელებისთვის საჭირო თანხა შეადგენს 182 მილიონ ლარს და მათ წერილში დეტალურად არის მითითებული თუ რა რესურსებით არის შესაძლებელი 82 მილიონი ლარის დაზოგვა, ხოლო 100 მილიონი არის ის თანხა, რომელსაც თვლიან, რომ ბიუჯეტს უნდა დაემატოს ტრანსფერის სახით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მარინა დათუკიშვილი დაინტერესდა, თუ რა სტადიაშია ცენტრალური ბიუჯეტიდან თბილისის ბიუჯეტისთვის თანხის დამატებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ფინანსთა სამინისტროსთან და დაახლოებით რა თანხის ტრანსფერზეა საბარი. მარინა დათუკიშვილის თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს მერის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესი, სასურველია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში დაკონკრეტდეს მერის სარეზერვო ფონდიდან თანხის გახარჯვის მიმართულებები და პრიორიტეტები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ფრიდონ ინჯიამ განაცხადა, რომ სასურველია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს მისი შეთავაზებები, რომელიც ეხება ერთჯერად ფინანსურ დახმარებას იმ ოჯახებისთვის, რომელთაც შეეძინება მეხუთე შვილი და იმ უშვილო ოჯახებისთვის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, რომელთაც არ აქვთ ამის შესაძლებლობა. ასევე, დაინტერესდა, თუ რამდენად შესაძლებელია თბილისის სხვადასხვა ადგილებში საბაგირო გზების განვითარება, რასაც მისი თქმით, არ სჭირდება დიდი ოდენობის თანხა და რაც გარკვეულწილად შეამცირებს ქალაქში არსებულ საცობებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა დათო ჟღენტმა აღნიშნა, რომ ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მდებარე კორპუსი, სადაც მოხდა სპეცოპერაცია არის 9 სართულიანი, რომლის თითო სართულზე არის 3 მოსახლე, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ ცხოვრობს 27 ოჯახი და მიმართა ნინო ლაცაბიძეს, თუ ფართით უზრუნველყოფილია 16 ოჯახი, იცის თუ არა, სად არიან დანარჩენი მაცხოვრებლები და დაინტერესდა თუ არა მათი ბედით, რადგან, მისი ინფორმაციით, დღესაც ადამიანები მიდიან ისნის რაიონის გამგეობაში, ესაუბრებიან თავისი გაჭირვების შესახებ და გამგეობისგან იღებენ პასუხს, რომ დაუკავშირდებიან დღის ბოლოს. ასევე დაინტერესდა, ფლობს თუ არა ნინო ლაცაბიძე ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამ კონკრეტული კორპუსის მდგრადობას და იქ მაცხოვრებელი ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და ასევე, ვინ აიღო პასუხისმგებლობა ადამიანების შესახლებაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ნინო ლაცაბიძემ განმარტა, რომ იმ სადარბაზოში, რომელშიც ჩატარდა სპეცოპერაცია, არავინ შეუსახლებიათ და ელოდებიან შესაბამისი სამსახურების დასკვნას. რაც შეეხება რაოდენობას, გამოსახლებულია დაახლოებით 25 ოჯახი და ყველა, ვინც დახმარებისთვის მიმართა გამგეობას, უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ფართით და იმაზე საუბარი, რომ ვინმე არ ეხმარება ამ მოქალაქეებს, სიცრუეა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლევან ხაბეიშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მაქსიმალურად მოკლე ვადაში უნდა იყოს საკითხი შესწავლილი ისე, რომ ცნობილი იყოს დაზარალებული ოჯახების არა სავარაუდო, არამედ კონკრეტული რაოდენობა, ასევე იყოს კონკრეტული პასუხი იმაზე, უსაფრთხოა თუ არა გვერდზე სადარბაზოებში ცხოვრება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძის თქმით, არავინ მიიღებდა გადაწყვეტილებას ისე, რომ არ არსებობდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ გვერდზე სადარბაზოებში ცხოვრება ადამიანებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. მან ასევე აღნიშნა, რომ საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, ყველას მიზანი და საზრუნავი არის ის, რომ არცერთი ოჯახი არ დარჩეს დახმარების გარეშე და შესთავაზა კოლეგებს, რომ საკრებულოს სხდომის დასრულების შემდეგ, სამუშაო რეჟიმში, დეტალურად განიხილონ აღნიშნულთან დაკავშირებული თითოეული საკითხი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუამ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს, მთავრობას, ისნის რაიონის გამგეობას და ნინო ლაცაბიძეს, რომელიც ეს დღეები იმყოფებოდა მოვლენების ადგილას და ცდილობდა მაქსიმალურად დახმარებოდა გუნდს. რაც შეეხება დასკვნას, მისი თქმით, სპეცოპერაციის დასრულებიდან ერთ დღეში, ბუნებრივია, ვერ

დაიდებოდა. თუ კი საკრებულოს მხრიდან საჭირო იქნება რაიმე საკითხის დამატებით შესწავლა, ამისთვის ყველა მზად არის. ირაკლი ზარქუამ ისაუბრა თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტზე და აღნიშნა, რომ ბუნებრივია, მასში ვერ იქნებოდა ასახული თბილისის ახალი მთავრობის პრიორიტეტები და ამიტომ, საკრებულოს მხრიდან, რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი შეეხება ზუსტად იმ პროექტების განხორციელებას, რომლებიც გაჟღებული იყო წინასაარჩევნოდ. მისი თქმით, ბიუჯეტის მიმდინარე შემოსავლებით არ არის შესაძლებელი ყველა სასურველი პროექტის განხორციელება და სწორედ ამიტომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხის დამატებასთან დაკავშირებით და იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს დღეებში ექნებათ ინფორმაცია თუ რა შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფო ბიუჯეტი და მთავრობა, რის შემდეგაც განისაზღვრება, თუ რა მიმართულებით რა თანხის გახარჯვა იქნება შესაძლებელი. ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტზე შენიშვნები და რეკომენდაციები წარმოადგინეს საკრებულოს ფრაქციებმა და კომისიებმა, რისთვისაც მათ მადლობა გადაუხადა და სხდომაზე წარადგინა ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა, რომელშიც ასევე გათვალისწინებულია საკრებულოს ფრაქციების და კომისიების შენიშვნები და რეკომენდაციები (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნის ასლი ოქმს თან ერთვის).

ირაკლი ხმალაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს და აღნიშნა, რომ ტრანსპორტის მოდერნიზება და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება არის ის პრიორიტეტები, რომლებიც გაცხადდა წინასაარჩევნოდ და დამატებითი თანხების მობილიზების შემთხვევაში, აუცილებლად მოხდება ამ თანხების მიმართვა საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების და მოდერნიზებისკენ. ავტობუსების და მეტროს სისტემის რეაბილტაცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა და უნდა შეიქმნას სათანადო პირობები იმისთვის, რომ მოქალაქეებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა იყოს უსაფრთხო და კომფორტული. ხოლო რაც შეეხება ტრამვაის ხაზს, აღნიშნა, რომ თბილისში ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევის მიხედვით, გრძელ მონაკვეთზე, კერძოდ, ისნიდან სახელმწიფო უნივესიტეტის მაღლივ კორპუსამდე (ორთაჭალის და რუსთაველის გავლით), ერთი ტრამვაის ხაზის გაყვანისთვის საჭიროა დაახლოებით ოთხასი მილიონი ლარი, მაშინ, როდესაც ავტობუსების პარკის სრულად ჩანაცვლებას სჭირდება ნაკლები თანხა. ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბიუჯეტის განახლებულ პროექტში წარმოდგენილი იქნება ხედვები თუ რისი გაკეთება იგეგმება ამ მიმართულებით. ირაკლი ხმალაძე დაეთანხმა ირაკლი ნადირაძის მოსაზრებას ცენტრალური ბიუჯეტიდან 100 მილიონის დამატებაზე და განაცხადა, „რატომ არა მეტით", თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს აქვს თავისი გამოწვევები და ხარჯები, ამიტომ გაუჭირდება წინასწარ სატრასფერო თანხის რაოდენობაზე საუბარი. მან ისაუბრა კოეფიციენტების ზრდასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბიუჯეტში წარმოდგენილი თანხა არის წინა წლებში გაყიდული კოეფიციენტების მოსაკრებელი, ამ ეტაპზე კი კოეფიციენტების გაყიდვის პრაქტიკა დახურულია. „ct-park"-თან დაკავშირებით განაცხადა, რომ არავის უთქვამს გადაჭრით, რომ კომპანიას აუცილებლად გაიყვანდნენ, ითქვა ის, რომ „დამთავრდება „ct-park"ის მხრიდან ის უმსგავსო მიდგომა მოქალაქეების მიმართ, რასაც აქამდე ჰქონდა ადგილი". აღნიშნა, რომ კომპანია არღვევს ხელშეკრულებას, რის გამოსასწორებლადაც განსაზღვრული აქვს დამატებითი ვადა და განაცხადა, რომ „თუ დარღვევის გამოსწორება არ მოხდება, გაძლევთ მთელი მთავრობის სახელით პირობას, რომ ხელშეკრულება დაუყოვნებლივ შეწყდება". ირაკლი ნადირაძის მიერ გაჟღერებულ ინიციატივებზე აღნიშნა, რომ ისინი ძირითადად მიმართულია სოციალური ხარჯების ზრდისკენ, რისი საწინააღმდეგოც არავის არაფერი აქვს, თუმცა ნებისმიერი ახალი ღონისძიების ინიცირება უნდა მოხდეს არსებული ბიუჯეტის ფარგლებში. ხოლო ირაკლი ნადირაძის მიერ ნახსენები 82 მილიონი ლარი, რომლის დაზოგვაც შემოთავაზებულია საკადრო რესურსის შემცირების ხარჯზე, საშუალო ხელფასით დათვლის შემთხვევაში, დაახლოებით 1300-მდე ადამიანის თანამდებობიდან გათავისუფლებას ნიშნავს. ირაკლი

ხმალაძის თქმით, დაგეგმილია ადმინისტრაციული, მათ შორის შრომითი რესურსის ოპტიმიზაცია, თუმცა ამის მიზანია არა რაოდენობის უსასრულოდ შემცირება, ხარისხის გაუარესების ხარჯზე, არამედ მუნიციპალური სერვისების განხორციელებისთვის ოპტიმალური მეთოდის და რესურსის განსაზღვრა. შესაბამისად, თუ აქედან გამომდინარე, 2018 წლის ბიუჯეტში გამოთავისუფლდება თანხა, ის აუცილებლად იქნება მიმართული პრიორიტეტული ღონისძიებების დასაფინანსებლად. მერის სარეზერვო ფონდიდან ხარჯების გაწევაზე განაცხადა, რომ ეს საკითხი დარეგულირებულია კანონით, რაც სავსებით საკმარისია, თუმცა, საკრებულო, თბილისის აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის ადგენს გარკვეულ წესებს და სურვილის შემთხვევაში, საკრებულოს ნებისმიერ წევრს აქვს საკითხის ინიცირების შესაძლებლობა. ფრიდონ ინჯიას შეთავაზებებზე აღნიშნა, რომ წინასაარჩევნოდ დასახელებულ კონკრეტულ ღონისძიებებს შორის, რომლის განხორციელებასაც აპირებს თბილისის მთავრობა, იყო სოციალური პროგრამებიც და განაცხადა, რომ ბიუჯეტიდან და საფინანსო ინსტიტუტებიდან მობილიზებული თანხები პირველ რიგში მიმართული იქნება იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც აირჩია მოსახლეობამ. ირაკლი ხმალაძემ იმედი გამოთქვა, რომ ბიუჯეტთან დაკავშირებით თბილისის მთავრობის და საკრებულოს წევრების მუშაობა გაგრძელდება ეფექტურად, განახლებული ბიუჯეტი იქნება უფრო გაზრდილი და უფრო მეტად უპასუხებს დედაქალაქის გამოწვევებს.

დათო ჟღენტმა განაცხადა, რომ ქვეყნაში დღეს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და ინფლაცია გამოწვეულია საბიუჯეტო და ბიუროკრატიული ხარჯებით და დაინტერესდა აპირებს თუ არა თბილისის მერია შეამციროს ბიუროკრატიული ხარჯები, კერძოდ, პრემია-დანამატები და გამოთავისუფლებული თანხა მიმართოს პენსიის და უფასო სასადილოების დაფინანსების გაზრდაზე.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ირაკლი ხმალაძემ უკვე ისაუბრა დათო ჟღენტის მიერ დასმულ შეკითხვებზე და საკრებულოს წევრებს მიმართა თხოვნით: „კითხვებში ნუ განვმეორდებით“.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წერილში, რომელიც გადაგზავნილია მერიაში, დეტალურად არის გაწერილი, თუ რისი შემცირებაა მოთხოვნილი და რის ხარჯზე, ასევე, საიდან უნდა დაფინანსდეს, რადგან „ბიუჯეტი არ არის უსასრულო ქვევრი, საიდანაც ფინანსდება ყველაფერი“. მისი თქმით, ფრაქცია ყველა ეტაპზე ითხოვდა თბილისის ბიუჯეტისთვის ტრანსფერის გაზრდას, თუმცა დავით ნარმანიას მერობის პერიოდში ეს ვერ მოხერხდა. „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომ თბილისის ბიუჯეტი გახდებოდა არანაკლებ ერთი მილიარდი ლარი და გამომდინარე იქიდან, რომ კახა კალაძეს უფრო დიდი პოლიტიკური წონა აქვს, იმედი გამოთქვა, რომ თბილისის ბიუჯეტი გაიზრდება. ასევე იყო დაპირება, რომ იჩივლებდნენ სასამართლოში და ოპერირებას კომპანია „ct-park“-ის ნაცვლად გაწევდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. ირაკლი ნადირაძემ ისაუბრა კოეფიციენტების ზრდაზეც და განაცხადა, რომ ყველას შეუძლია ნახოს, თუ როდის გააკეთა დავით ნარმანიამ განცხადება მორატორიუმის შესახებ, თუმცა მას შეუძლია წარადგინოს ასობით ბრძანება კოეფიციანტის გაზრდის თაობაზე, რომელიც გაცემულია მორატორიუმის გამოცხადების შემდეგ. რაც შეეხება ოპტიმიზაციას, განაცხადა, რომ „ყველაფერი დათვლადი და მარტივია“, ისაუბრა კონკრეტულ ციფრებზე, თუ რა მდგომარეობა იყო 2012-2013 წლებში და რა მდგომარეობაა დღეს, შრომის ანაზღაურების მუხლში.

გიორგი ტყემალაძემ განმარტება გააკეთა მორატორიუმის გამოცხადების შემდეგ კოეფიციენტების ზრდასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ კოეფიციენტები შესაძლებელია გაზრდილიყო მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც არ შედის შეზღუდვის არეალში ან დაუმთავრებელი მშენებლობების შემთხვევაში, რადგან მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტის მხრიდან, იყოს მაქსიმალური ხელშეწყობა, ხოლო ცენტრალურ უბნებში, სადაც დადგინდა შეზღუდვები, მორატორიუმის გამოცხადების შემდეგ, კოეფიციენტები არ გაზრდილა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა მარინა დათუკიშვილმა განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში, როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს, ასევე მერის პირველ მოადგილეს მიაწოდებს მერის ბრძანებას რამდენიმე, რომელიც გამოცემულია აგვისტოში და რომლითაც ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გაზრდილია კოეფიციენტი. მან ასევე ისაუბრა მერის სარეზერვო ფონდზე და განაცხადა, რომ კანონი არის ზოგადი, ხოლო მისი ხარჯვის პრაქტიკა არის მძიმე, რადგან დავით ნარმანიას მუშაობის პირობებში სარეზერვო ფონდის გამოყენება არაერთგზის მოხდა დანაშაულებრივად, კერძოდ, მან დააფინანსა მეგობარი პროკურორის შვილის პარიზში ცხოვრების და არა სწავლის ხარჯები, ასევე, ფინანსდებოდა არასოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის ხარჯები. მარინა დათუკიშვილის თქმით, სარეზერვო ფონდის განკარგვასთან დაკავშირებით უნდა იყოს უფრო მეტი კონკრეტიკა და მიზნობრიობა, ამის შესახებ ფრაქცია აუცილებლად დააყენებს ინიციირებას და იმედი გამოთქვა, რომ კოლეგები უმრავლესობიდან მხარს დაუჭერენ, თუმცა სასურველია, ამ მიმართულებით მთავრობის წევრებმაც გამოიჩინონ მეტი ყურადღება.

ირაკლი ხმალაძე დაეთანხმა მარინა დათუკიშვილს, რომ მერის სარეზერვო ფონდის ხარჯვა უნდა იყოს მიზნობრივი და აღნიშნა, რომ ყურადღება გამახვილებული იქნება არა მარტო ამ კუთხით, არამედ ნებისმიერი მიმართულებით ხარჯვასთან დაკავშირებითაც. ბიუჯეტის ერთ მილიარდ ლარამდე ზრდასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს არის ოთხწლიანი პროგრამის ნაწილი და იმედი გამოთქვა, რომ ეკონომიკური აქტივობებით შესაძლებელი იქნება ამის განხორციელება, ხოლო კაპიტალური ხარჯის აწევით ბიუჯეტის გაზრდა, არ იქნება მიზნის მიღწევა. რაც შეეხება „ct-park"-თან დაკავშირებით სასამართლოში ჩივილს და იმას, რომ ოპერირებას გაწევდა მერია, აღნიშნა კახა კალაძის სიტყვები იყო - „სწორი მოდელი იქნება, რომ ამას აკეთებდეს მუნიციპალიტეტი". ირაკლი ხმალაძის თქმით, „ct-park"-თან დაკავშირებით დღეს არსებული მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ კომპანიას პარკირების რეგულირების უფლება გადაცემული აქვს ისეთი მოდელით, რომლის ფარგლებშიც დაჯარიმებას წამახალისელებელი ინტერესი აქვს ანუ რაც მეტ მძღოლს დააჯარიმებს, მით მეტი შემოსავალი ექნება და განაცხადა, რომ „ეს არის ზუსტად ის საკვანძო პრობლემა, რომელიც აღარ უნდა განმეორდეს მომავალში". ამ ეტაპზე მარტივ მდგომარეობაშია, რადგან როდესაც ირღვევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და შემდეგ, დათქმულ ვადაში არ ხდება მისი გამოსწორება, წყვეტ ხელშეკრულებას და თუ მერია შეწყვეტს ხელშეკრულებას, კომპანიას შეუძლია ჩათვალოს ეს უსამართლოდ და მიმართოს სასამართლოს. ამ ეტაპზე კი, არის ის მდგომარეობა, რომ კომპანიისთვის დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა მალე ამოიწურება და მიღებული იქნება შესაბამისი ზომები. ირაკლი ხმალაძემ აქვე აღნიშნა, რომ ეს არის ერთ-ერთი ის საკითხი, რომელიც ყველას აერთიანებს, რადგან ამ კომპანიის ქმედებით უკმაყოფილოა თითოეული ჩვენგანი. მან ისაუბრა სახელფასო ფონდზე და განმარტა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის განახლებული პროექტი ვერ იქნება მორგებული ოპტიმიზირებულ სახელფასო ფონდზე, რადგან რეორგანიზაცია ეხლა დაიწყო და ათ დღეში ვერ დასრულდება, ხოლო თუ რეორგანიზაცია გამოიწვევს სახელფასო ფონდის შემცირებას, ამის ასახვა მოხდება წლის განმავლობაში. ირაკლი ხმალაძემ პრემია-დანამატებზე განმარტა, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება კანონი, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნულ საკითხს და შესაბამისად, ამ ეტაპზე ამაზე საუბარი ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ფრაქციის შეთავაზება, რომ პენსიონერებს მიეცეთ 200 ლარიანი დახმარება მედიკამენტებისთვის, შესაძლებელია არსებული ბიუჯეტის ფარგლებშიც, ამისთვის შესაძლებელია სოციალური დახმარების სახით არსებული თანხის გამოყენება. რომლის გაცემაც, მისი თქმით, გამგეობების მხრიდან ხდება შერჩევითად, ხოლო ვაუჩერიზაციის შემთხვევაში, მოქალაქეების ვეღარ ექნებათ პრეტენზიები, რომ დაფინანსება შერჩევითია და პენსიონერებს მიეცემათ შესაძლებლობა თავად გადაწყვიტონ რომელი მედიკამენტი შეიძინონ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა, პროექტის „პანორამა თბილისი“ ის ნაწილი, რომელიც შენდება პუშკინის სკვერში კოეფიციენტების ზრდასთან დაკავშირებით მორატორიუმის გამოცხადებამდეა დამტკიცებული და ამის გამოა ასეთი „შეუსაბამო და უშველებელი“ თუ ის არ დაექვემდებარა მიღებულ დადგენილებას და რაიმე სპეცნებართვით არის მიღებული.

გიორგი ტყემალაძემ განმარატა, რომ „პანორამა თბილისი“ არის მეხუთე კლასის მშენებლობა და ნებართვა გაცემულია ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან, ხოლო ზოგადად, კოეფიციენტების ზრდის შეზღუდვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება გულისხმობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში კოეფიციენტის გადაჭარბების აკრძალვას არა განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, არამედ ინდივიდუალურ მიწის ნაკვეთზე, თუ არ არის ადრე დაწყებული, დაუმთავრებელი მშენებლობა.

ირაკლი ზარქუამ მიმართა ირაკლი ნადირაძეს, რომ მის მიერ შრომის ანაზღაურების მუხლში მოყვანილი 2012-2013 წლების მაჩვენებლები იყო მხოლოდ ადმინისტრაციული ხარჯი, რომელშიც არ შედიოდა სსიპ-ები და ააიპ-ები, რომლის ხარჯებიც გაწერილი იყო სხვა ხარჯებში, შესაბამისად, იყო დაფარული, ხოლო „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბიუჯეტში გაწერილი ყველა ხარჯი გახდა გამჭვირვალე. რაც შეეხება შრომის ანაზღაურების მუხლს, მისი თქმით, ბოლო წლებში აქვს კლების ტენდენცია, რაც დასტურდება კონკრეტული ციფრობრივი მაჩვენებლებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა განმარტება გააკეთა მედიკამენტებისთვის 200 ლარიანი ვაუჩერის გაცემაზე და განაცხადა, რომ ზოგადად, ვაუჩერული დაფინანსება მიღებული ფორმაა, თუმცა 207000 ათასი პენსიონერის დაფინანსებისთვის საჭიროა 40 მილიონ ლარზე მეტი, ხოლო სხვა სოციალური დახმარების ბიუჯეტი, მერიის და გამგეობების, ერთად შეადგენს დაახლოებით 25 მილიონამდე ლარს და ეს თანხა გაიცემა არა მხოლოდ მედიკამენტების შესაძენად, არამედ ხმარდება ოპერაციების და სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციების დაფინანსებასაც. შესაბამისად, საკითხი საჭიროებს ადმინისტრირებას და დახვეწას, რადგან დღეს არსებული ბიუჯეტით, ეს შეუძლებელია, საჭირო იქნება დამატებითი სახსრების მოძიება.

ირაკლი ნადირაძემ, დაზუსტების მიზნით, გააკეთა განცხადება, რომ ფრაქციის წერილში, რომელიც გადაგზავნილია ქალაქის მერთანაც და საკრებულოს თავმჯდომარესთანაც დეტალურად არის გაწერილი ციფრები, თუ საიდან რა შეიძლება გაკეთდეს და ითხოვა, სამუშაო რეჟიმში, წერილის დეტალური განხილვა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მალხაზ ჭამპურიძემ და განმარტა, რომ ცვლილება ხორციელდება უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე პირთა ანაზღაურების წესში, კერძოდ, აქამდე ანაზღაურება ხდებოდა ბიუჯეტიდან, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებით შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ შემოსავლებსა და ხარჯებში შესაბამისი რესურსის მოძიების შემთხვევაში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, ანაზღაურება განხორციელდება კომპანიის საკუთარი შემოსავლებიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ „JEC Fund“-ისგან გრანტის მიღების საკითხზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე „იაპონური ბაღის“ მოწყობისთვის გაწეული ხარჯის ნაწილობრივი ანაზღაურება, კერძოდ, პროექტის განხორციელება დასრულდა 2017 წლის გაზაფხულზე და ამ ეტაპზე წარმოდგენილია თბილისის ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხის ნაწილის დაფინანსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძე დაინტერესდა, გამოყოფილი თანხით რაიმე დამატებითი კეთდება თუ მოხდება გაწეული ხარჯების დაფარვა.

გიგა გიგაშვილმა განმარტა, რომ დამატებით ხარჯზე არ არის საუბარი, პროექტი განხორციელდა თანამონაწილეობით და წარმოდგენილი თანხით მოხდება გაწეული ხარჯების ნაწილობრივი დაფარვა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 42

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისში, ცაიშის ქუჩა N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.03.010.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია იმ მოქალაქეების ფართებით დაკმაყოფილება, რომლებიც უკვე ოც წელზე მეტია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე მდებარე შენობაში. მან აქვე აღნიშნა, რომ სულ 23 მოქალაქეს გადაეცემა 27 ერთეული ფართი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა მარინა დათუკიშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N315 განკარგულებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიეცა თანხმობა ცაიშის ქ.N36-ში მდებარე უძრავი ქონება გადაეცა იქ

მაცხოვრებელი მოქალაქეებისთვის და დაინტერესდა, რატომ არ მოხდა საკრებულოს განკარგულების აღსრულება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, უძრავი ქონების გადაცემასთან ერთად, ასევე გათვალისწინებულია საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N315 განკარგულების ძალადაკაგულად გამოცხადება, რომელიც უნდა აღსრულებულიყო სამი თვის ვადაში, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ იყო წინასაარჩევნო პერიოდი, საზოგადოების მხრიდან კითხვების თავიდან აცილების მიზნით, არ მოხდა ხელშეკრულებების გაფორმება ამ ადამიანებთან. ასევე, არის კიდევ ერთი ცვლილება, კერძოდ, ადამიანების რაოდენობა შემცირებულია ერთი ერთეულით.

მარინა დათუკიშვილმა განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმება მოსაზრებას, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ქონებების გადაცემა არ მოხდა იმიტომ, რომ მოსახლეობას არ გასჩენოდა კითხვები, რადგან სწორედ წინასაარჩევნოდ, საკრებულოს ვებგვერდზე განთავსდა ინფორმაცია, რომ ქალბატონი რამინა ბერაძის ინიცირებით, ცაიშის ქ.N36-ში მცხოვრებ მოქალაქეებს საკუთრებაში გადაეცათ ფართები. მარინა დათუკიშვილმა ასევე ისაუბრა იმ ერთ ადამიანზე, რომელსაც საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N315 განკარგულებით უნდა გადასცემოდა უძრავი ქონება, ხოლო წარმოდგენილი პროექტით იგი აღარ არის ამ ადამიანების სიაში და აღნიშნა, რომ ეს ადამიანი არ ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, მოსახლეობის აღრიცხვისას იმყოფებოდა სტუმრად და მოხვდა იმ ადამიანების სიაში, რომლებსაც უნდა გადასცემოდათ უძრავი ქონება. მისი თქმით, საკითხი იმდენად შეუსწავლელი იყო, რომ საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N315 განკარგულების საფუძველზე რომ მომხდარიყო ხელშეკრულებების გაფორმება, შემთხვევითი ადამიანიც მიიღებდა გარკვეულ ფართს. მარინა დათუკიშვილმა სხდომაზე წარადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც, პროექტით წარმოდგენილ ორ ადამიანს, საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N315 განკარგულების საფუძველზე, უკვე დარეგისტრირებული აქვთ ფართი და საკუთრებაში არსებული ქონება საქართველოს ბანკში ოპეთეკით აქვთ დატვირთული. მარინა დათუკიშვილმა განაცხადა, რომ უძრავი ქონება საკუთრებაში უნდა გადაეცეს არა მხოლოდ ცაიშის ქ.N36-ში მცხოვრებ მოქალაქეებს, არამედ ყველა იმ ადამიანს, რომელიც წლებია ცხოვრობს ამა თუ იმ მისამართზე და ჩამოთვალა თბილისში არსებული რამდენიმე ასეთი მისამართი. თუმცა, აქვე აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნება, სამომავლოდ, მსგავსი გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, შემუშავდეს წესი და ქონების გადაცემა მოხდეს არა ასე ქაოტურად, არამედ წესის მიხედვით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ მისი აზრით, ამ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრები იქნებოდნენ ერთსულოვნები და აქვე აღნიშნა, რომ ეს არ ყოფილა მის მიერ ინიცირებული საკითხი, ფრაქცია „ქართული ოცნება“ სამი წელია, გამგეობებთან ერთად, მთელი თბილისის მასშტაბით, მუშაობს აღნიშნული მიმართულებით. ამ ეტაპზე, ჩუღურეთის რაიონში შესწავლილია რამდენიმე ლოკაცია და სწორედ ერთ-ერთი მათგანია ცაიშის ქუჩაც. მისი თქმით, კახა კალაძე აცხადებდა, რომ ფართების დაკანონება მოხდებოდა არჩევნების შემდეგ და უძრავი ქონების გადაცემა შეჩერდა სწორედ იმ მოტივით, რომ აღნიშნული არ ჩათვლილიყო წინასაარჩევნო კამპანიად. რამინა ბერაძემ ასევე ისაუბრა იმ ერთ ადამიანზე, რომელსაც საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N315 განკარგულებით უნდა გადასცემოდა უძრავი ქონება, ხოლო წარმოდგენილი პროექტით იგი აღარ არის ამ ადამიანების სიაში და აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, იმ პერიოდში ის არ იმყოფებოდა საქართველოში და ვერ მოხერხდა მასთან დაკავშირება. რაც შეეხება წესს, მისი თქმით, იუსტიციის სამინისტროს მიერ გადამოწმებულია ყველა პიროვნება და ფართის გადაცემა ხორციელდება მხოლოდ მათზე, ვის სახელზეც არ არის რეგისტრირებული უძრავი ქონება. რამინა ბერაძე დაეთანხმა მოსაზრებას, რომ უძრავი ქონების გადაცემა არ უნდა მოხდეს მხოლოდ ჩუღურეთის რაიონში და აღნიშნა, რომ ქონების მართვის სააგენტოს შესწავლილი აქვს ასეთი ადამიანების ბაზა დაახლოებით 1645 ობიექტზე.

ირაკლი თავართქილაძემ შეისწავლა მარინა დათუკიშვილის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია და აღნიშნა, რომ ეს არის ხარვეზი, რომელიც გამოსწორდება დღეს წარმოდგენილი პროექტით და ამ ადამიანებს, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიეცემათ შესაძლებლობა სამართლებრივად სწორად დაირეგისტრირონ ქონება. მან აქვე აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა არ შეწყდება და ქონების მართვის სააგენტო ყველანაირად ეცდება, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თითქმის ყველა სხდომაზე წარადგინოს მსგავსი შინაარსის საკითხები.

მარინა დათუკიშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ცაიშის ქ.N36-ში მცხოვრები მოქალაქეებისთვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა რამინა ბერაძის ინიცირებით რომ განხორციელდა, ეს არ არის მისი მოსაზრება - ეს ინფორმაცია 21 აგვისტოს დაიწერა საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე. მარინა დათუკიშვილმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ საკითხი არ არის შესწავლილი, რადგან ერთ შემთხვევაში ქონება გადაეცემოდა სტუმრად მყოფ ადამიანს, ხოლო ორ შემთხვევაში ადამიანები უკვე ფლობენ ამ ქონებას და განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება აღნიშნული საკითხის განხილვის გადადება და დეტალური შესწავლა.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ამ ადამიანებისთვის თითოეულ დღეს აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა და გამომდინარე იქიდან, რომ უძრავი ქონების გადაცემისთვის, საკრებულოს თანხმობის შემდეგ, საჭიროა მესაკუთრეებთან ხელშეკრულების გაფორმება, მიმართა ირაკლი თავართქილაძეს, რომ ამ ადამინებისთვის ქონების გადაცემისთვის საჭირო პროცედურების დასრულებამდე, განმარტებები გაკეთდეს სხდომაზე დასმულ ყველა საკითხთან დაკავშირებით, რათა ყველა დარწმუნდეს პროცესის კანონიერებაში და არ დარჩეს პასუხგაუცემელი კითხვები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 1 დადგენილება და 2 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031732835**

თარიღი: **24.11.2017**

ადრესატი:
ელენე დუმბაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო - პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი) - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ (#12-031731434-03)

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ 2017 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების მე-3 მუხლის “ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განიხილა 2017 წლის 15 ნოემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის №01-01173142883 წერილით შემოსული, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი პროექტით, 2018 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 815 210,1 ათასი ლარით. ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, ბიუჯეტის პროექტს თანდართულ აქვს დანართი №1 პროგრამული ბიუჯეტის შესახებ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას განსახორციელებელი პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ; დანართი №2 სხვა ხარჯების შესახებ, დანართი №3-ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ, დანართი №4 ქალაქ თბილისის მუნიციპლატეტის მიერ დაფუძნებული სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესახებ, დანართი №5 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ მიმოხილვა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.

როგორც ავღნიშნეთ 2018 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 815 210,1 ათასი ლარით, რაც 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 13 908,1 ათასი ლარით მეტი, ხოლო 2017 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით 11 088,0 ათასი ლარით ნაკლებია. ბიუჯეტის შემოსავლები დაგეგმილია 763 710,0 ათასი ლარით, ბიუჯეტის ხარჯები შეადგენს 587 348,4 ათას ლარს, არაფინანსური აქტივების ცვლილება - 87 195,9 ათას ლარს, ფინანსური აქტივების ცვლილება 83 004,1 ათასი ლარს, ხოლო ვალდებულებების ცვლილება 6 161,6 ათასი ლარს, რაც მთლიანად ვალდებულელების კლებაა. ბიუჯეტის მთლიანი სალდოა 89 165,7 ათასი ლარით.

ბიუჯეტის შემოსავლები დაგეგმილია 763 710,1 ათასი ლარით,

საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, გადასახადებიდან მისაღები შემოსავლები შეადგენს

250 000,0 ათას ლარის, რაც 2017 წლის ბიუჯეტთან შედარებით 10 000,0 ლარით ნაკლებია (ძირითადად შემცირებულია საშემოსავლო გადასახადიდან მისაღები შემოსავლები 10 000,0 ლარით).

გრანტები 343 030,4 ათასი ლარი: მ.შ გათანაბრებითი ტრანსფერი გაზრდილია 2017 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით 10 325,8 ათასი ლარით და შეადგენს 342 508,0 ათას ლარს. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები დაგეგმილია 170 679,7 ათასი ლარით. მ.შ. შემოსავლები საკუთრებიდან 15 071,2 ათასი ლარით, პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები დაგეგმილია 2 000, 0 ათასი ლარით, დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლები 200,0 ათასი ლარი. 2017 წლის ბიუჯეტთან შედარებით 10 850,0 ათასი ლარითაა გაზრდილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი. სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მისაღები შემოსავლები დაგეგმილია 26 500,0 ათასი ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები განსაზღვრულია 6 633,4 ათასი ლარით. დასუფთავების მოსაკრებელი შეადგენს 45 000,0 ათას ლარს.

არაფინანსური აქტივების კლება დაგეგმილია 50 000.0 ათასი ლარი, რაც 2017 წლის ბიუჯეტთან შედარებით 10 000,0 ათასი ლარით ნაკლებია.

2017 წლის ბიუჯეტთან შედარებით 20 000,0 ათასი ლარით ნაკლებია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მისაღები შემოსავლები, ხოლო 5 000,0 ათასი ლარით გაზრდილია მიწის გაყიდვიდან მისაღები შემოსავლები.

ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 815 210,1 ათას ლარს.

პრიორიტეტების მიხედვით:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება - გათვალისწინებულია 125 141.8 ათასი ლარი და პროცენტულად შეადგენს მთლიანი ბიუჯეტის მოცულობის 15.3%-ს.

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - გათვალისწინებულია 153 819.8 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის 18,8%.

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - განსაზღრულია 85 089.3 ათასი ლარით. მთლიანი ბიუჯეტის 10,4% მ.შ გამწვანების ღონისძიებებისათვის - 20 136,4 ათასი ლარი, ხოლო დასუფთავების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 59 000,0 ათასი ლარი.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - პრიორიტეტში გათვალისწინებულია 7 655,0 ათასი ლარი, ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის 0,9%.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პრიორიტეტში გათვალისწინებულია 29 826,6 ათასი ლარი, ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის 3,6%.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 191 112,8 ათასი ლარი, ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის 23,4 %-ია. პრიორიტეტში ჯანდაცვისათვის გათვალისწინებულია 44 364,0 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვაზე 146 748,8 ათასი ლარი.

განათლება - პრიორიტეტი 2017 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 168,9 ათასი

ლარით და შეადგენს 117 150,1 ათას ლარს, ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის 14,4%-ს.

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტში გათვალისწინებულია 27
131,4 ათასი ლარი, ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის 3,3%-ია.

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება გათვალისწინებულია 3 158,3 ათასი ლარი.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები 2017 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 1 224,9 ათასი ლარით და შეადგენს 75 124,6 ათასი ლარს.

2018 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილა ყველა კომისიამ და ფრაქციამ. კომისიაში წარმოდგენილია ყველა მუდმივმოქმედი კომისიის და ფრაქციების: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის", „ქართული ოცნება-კონერვატორები", „ქართული ოცნება-მრეწველები"-ს „ევროპული საქართველო-თბილისი"-ს შენიშვნები და წინადადებები 2018 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. შენიშვნები აქვს ასევე ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიასაც. რაც შეეხება ფრაქციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიაში შემოსულია წერილი, სადაც აღნიშნავენ, რომ მათი შენიშვნები და მოსაზრებები გაეგზავნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

გაგაცნობთ ძირითად შენიშვნებსა და წინადადებებს.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს რეკომენდაციებია შეიქმნას ისეთი ინფრასტრუქტურა და გარემო პირობები, რომელიც უზრუნველყოფს მოძრაობის ყველა წევრისათვის უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას, რაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოდერნიზაციას, მომსახურების ხარისხისა და გამტარუნარიანობის ზრდას, რისთვისაც საჭიროა „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის" პროგრამაში მოხდეს წინასაარჩევნოდ გაცხადებული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების ასახვა. გარდა ამისა, მიზანშეწონილად მიაჩნიათ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, პროგრამის ,,ძველი თბილისის რეაბილიტაცი"-ის ფარგლებში მიმდინარე და სხვა პროექტების განხორციელებისათვის, გამწვანების სამუშაოების, ახალი და არსებული რეკრეაციული სივრცეების რეაბილიტაციისათვის ასიგნებების გაზრდა. ასევე, 2018 წლიდან დაიწყოს ჯანმრთელობის დაცვის იმ პროგრამების იმპლემენტაცია, რაც გათვალისწინებული იყო საარჩევნო პროგრამაში.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს რეკომენდაციებია ბიზნესპროექტების განხორციელების ხელშეწყობა, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და დედაქალაქის მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობისათვის საჭირო რესურსების გათვალისწინება.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები" წინასაარჩევნოდ წარმოდგენილი პრიორიტეტების ფარგლებში დასახული მიზნების შესრულებისათვის მნიშვნელოვნად თვლიან ბიუჯეტში მაქსიმალურად რაციონალურად იქნას გათვალისწინებული თანხები ყველა მიმართულებით.

ფრაქცია „ევროპული საქართველო-თბილისი"-ს წინადადებაა 2018 წლის ბიუჯეტში აისახოს პროგრამა, საიდანაც მოხდება თბილისში მაცხოვრებელი პენსიონერებისთვის 50 ლარიანი საპენსიო დანამატის გაცემა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება და ელექტრო ტრანსპორტის განვითარება. საბავშვო ბაღების დაფინანსების განხორციელება ვაუჩერული გზით და სხვა შენიშვნები.

გარემოს დაცვის კომისიის წინადადებაა: ეთხოვოს ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის“ ახალი პროექტის წარმოდგენისას, შესაძლებლობის ფარგლებში, გაითვალისწინოს კომისიის შემდეგი შენიშვნები და წინადადებები:

გამწვანების ღონისძიებებში (კოდი: 03 01) აისახოს: თბილისის ზღვის მიმდებარედ დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაციის პროექტის, ხე-მცენარეების გადარგვა და მისი მოვლა-პატრონობის პროგრამის და მთაწმინდის ფერდობის სარეაბილიტაციო ღონისძიებების (ტერიტორიის შესწავლის, საგაზაფხულო და საშემოდგომო რგვებისთვის მომზადება, ახალი ნერგების შეძენა და დარგვა, შემდგომი მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა და დაზიანებული ხეების მოჭრა და ტერიტორიიდან გატანა) შესაბამისი დაფინანსება.

განათლებისა და კულტურის კომისიის რეკომენდაციით 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს წინასაარჩევნო პროგრამასთან. კომისიის რეკომენდაციით ბიუჯეტი უნდა ასახავდეს მუნიციპალურ დაქვემდებარებაში არსებული საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებების მოდერნიზებისა და განვითარებისათვის საჭირო ასიგნებებს, ასევე კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამები უნდა დაეფუძნოს შესაბამისი სფეროების განვითარების სტრატეგიულ პრიორიტეტებს.

სარევიზიო კომისია თვლის, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი სრულფასოვნად არ ასახავს იმ პრიორიტეტებს, რომელსაც საზოგადოებამ მხარი დაუჭირა.

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია აღნიშნავს, რომ ძველი თბილისის რეაბილიტაცია მრავალმნიშვნელოვანი პროექტია, ერთიანი ტურისტული მარშრუტის შექმნის, ინვესტიციების ზრდის, ეკონომიკის წახალისებისა და დამატებითი სამუშაო ადგილების წარმოქმნის თვალსაზრისით და აუცილებელია ამ მიმართულებით ასიგნებების გაზრდა. გარდა ამისა მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ დროულად დაიწყოს ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა მეტროპოლიტენის და ავტობუსების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, პარკირების სისტემის მოწესრიგება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახალი სამარშრუტო სქემა, საგზაო ინფრასტრუქტურის ქვეითების გადაადგილებისთვის კომფორტული პირობების შექმნა და ა.შ. ასეთივე წინადადებები აქვს **ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიას.** კომისია მიზანშეწონილად თვლის, პროგრამები: „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება“ (კოდი 01 01) და „ტრანსპორტის განვითარება“ (კოდი 01 02) შემცირების ნაცვლად გაიზარდოს და დაემატოს შესაბამისი თანხები.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას შენიშვნები აქვს გეოგრაფიული აბრების შესყიდვის ფასთან დაკავშირებით. კომისიამ ასევე აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ზუსტი ინფორმაცია ქალაქში არსებული აბრების რაოდენობისა და შესაბამისი მისამართების შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წინადადებაა :

პროგრამას „ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია“-ს (კოდი 06.01.13) დაემატოს ღვიძლის კომპონენტი, ხოლო პროგრამას ,,დავაადებათა სკრინინგი“ (კოდი 06.01.02) დაემატოს ფარისებრი ჯირკვლის სკრინინგის კომპონენტი, როგორც წინასაარჩევნო პროგრამით იყო გათვალისწინებული.

ეკონომიკური განვითარების, საინვერსტიციო პოლიტიკის და საერთაშორსო ურთიერთობების კომისია თვლის, რომ 2018 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი უნდა შეიცვალოს ფუნქციურად, ორიენტირებული უნდა იყოს კვლევებზე,

ტურიზმისა და უცხოური ინვესტიციების მიმართულებებით. საჭიროდ მიაჩნიათ ავარიული სახლების კვლევა, საინვესტიციო პორტფელების შექმნა, კვლევები ადგილობრივი გადასახადების კუთხით და არსებული მოსაკრებლების ანალიზი. **სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია** მიზანშეწონილად მიიჩნევს, პროგრამით ,,სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება მშენებლობა" (კოდი 08.06.04) ერთი მულტიფუნქციური კომპლექსის გარდა განხორციელდეს სხვა რაიონებისათვისაც მსგავსი კომპლექსების საპროექტო სამუშაოების მომზადება.

იურიდიულ კომისიას შენიშვნა აქვს დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითებას.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისია უერთდება კომისიების წინადადებებს **და** მოსაზრებას, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი სრულყოფილად არ ასახავს იმ პრიორიტეტებს, რომელსაც საზოგადოებამ დაუჭირა მხარი.

2018 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, რასაც ეთანხმებიან სხვადასხვა კომისიებიც, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის #2-1 დადგენილების 72-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, კომისიებისა და ფრაქციების დასკვნებთან ერთად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მერიას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიაში წარმოდგენილი კომისიების და ფრაქციების დასკვნები, თან ერთვის ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დასკვნას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო - ქონების მართვისა და
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - კომისიის
თავმჯდომარე

ირაკლი ზარქუა